პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 დეკემბერი სამშაბათი 1971 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 282 (15192)

ხუთწლედი — ვადამდე!

შრომითს ვახტაზე

რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივი წარმატებით შრომობს მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. საწარმო ყოველთვიურად ასობით ტონა ზეგეგმით პროდუქციას უშვებს. აქ ერთ-ერთი მოწინავეა ზეინკალთა ბრიგადა საფქვავ საამქროში, რომელსაც ი. შანიძე ხელმძღვანელობს. იგი ცვლის დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს.

ი. შანიძის ბრიგადამ სახელი თავდადებული შრომით გაითქვა. მოწინავე მუშა ი. შანიძე შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

სურათზე: მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი ი. შანიძე.

ფოტო პ. რუხაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ნოგათეგი სამშობლოს

ცხაკაიას რაიონი ბევრი იშრომეს ცხაკაიას რაიონის მშრომელებმა, რათა შეესრულებინათ ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის დამზადების სახელმწიფო დავალება და სოციალისტური ვალდებულება. დეკემბრის დამდეგისათვის მათ გადასამუშავებელ მრეწველობას მიაწოდეს 1.360 ტონა მწვანე მასა და ყვავილი მაღალხარისხოვანი ეთეროვანი ზეთების წარმოებისათვის — რეკანი, გერანი, კაზანლიყური ვარდი, ჟასმინი, ევკალიპტი და სხვ.

მოპოვებული წარმატება. — გასაცხადა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჭიტანავამ, — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების თავდადებული შრომის, მეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის შედეგია, რომლებმაც ფართოდ გაშალეს შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ჯანსორცელებისა და ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებისათვის.

შეჯიბრებაში თავი ისახელეს სოფლების შუა ხორშის, ფოცხოს, ზანის, უშაფთის, ლეძაძამის, ეკისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ბორჯომის რაიონი გაგრძელდა რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებისათვის, რაიონის მშრომელებმა, კარგი მოსავალი მოიწიეს. გადადგეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. ხორცი დამზადებულია 13.200 ცენტნერი — გეგმის 150 პროცენტი, რძე — 40 ათასი ცენტნერი, გეგმის 125 პროცენტი, კარტოფილის დამზადების წლიური გეგმები რეალიზებულია 103 პროცენტით, ბოსტნეულისა — 117 პროცენტით, ხილისა — 103 პროცენტით, მატყლისა — 112 პროცენტით.

(საქდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია ბრესტის გმირ ციხე-სიმაგრეს

ბრესტი, 5 დეკემბერი. (საქდესი). 5 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობაზე მიმავალ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, ცოტა ხნით შეჩერდა ქალაქ ბრესტში.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი და დელეგაციის წევრები პ. მ. მაშეროვი, კ. თ. კატუშევი, ვ. ი. დოლგიხი, ა. თ. ვატჩენკო, კ. ვ. რუსაკოვი ეწვივნენ ბრესტის გმირ ციხე-სიმაგრეს, დაათვალიერეს ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე მემორიალური კომპლექსის ნაგებობანი, იყვნენ ბრესტის გმირული დაცვის მუზეუმში, გვირგვინებით შეამკეს მემორიალი, სადაც დაკრძალული არიან ციხე-სიმაგრის ლეგენდარული დამცველები.

მემორიალური კომპლექსის დათვალიერების დროს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მხურვალედ მიესალმა ციხე-სიმაგრის უამრავი დამთვალიერებელი.

საპატიო სტუმრების წიგნში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩაწერა: „მარად იცოცხლებს ხალხთა ხსოვნაში ბრესტის-ციხე-სიმაგრის დამცველთა გმირობა, იცოცხლებს და მოუწოდებს ადამიანებს საბჭოთა სამშობლოს უანგარო ერთგულებისათვის.

1971 წელს შექმნილი დიდებული მემორიალი ღირსეული ძეგლია გმირებისათვის. მადლობა იმათ, ვინც ეს მემორიალი შექმნა.

პლანეტის ხალხებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის!“.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი შეხვდა და ესაუბრა ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს.

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ვარშავაში გაემგზავრა.

ლ. ი. ბრეჟნევი და დელეგაციის წევრები ვაგზალზე გულთბილად გაეცილეს ოლქისა და ქალაქის ხელმძღვანელებმა, ბრესტის მშრომელებმა.

სკკპ დელეგაცია ვარშავაში ჩავიდა

ვარშავა, 5 დეკემბერი. (საქდესი). დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში პოლონეთის გაერთიანებული შუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობაზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობს.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თ. ვატჩენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ა. პილოტოვიჩი.

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გიერეკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იაროშევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

პოლონეთის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენლებმა ყვავილები მიართვეს დელეგაციის წევრებს.

გვირგვინებით შეამკეს

ვარშავა, 6 დეკემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობის გახსნის წინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, ყრილობაზე ჩამოსული სხვა მოძმე პარტიების ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს პოლონეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მუზეუმის ფილიალი — ციტადელი. ამ ციხე-საპყრობილის დილეგებში დაიღუპა ასობით პატრიოტი და თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, რომლებიც იბრძოდნენ ხალხის თავისუფლებისათვის, პოლონეთის მუშათა კლასის საქმისათვის.

ციტადელის მემორიალურ გალავანთან, სადაც გიზგიზებს დიდების ცეცხლი, დელეგაციამა მიიტანეს გვირგვინი და ყვავილები. გვირგვინის ლენტზე წარწერილია: „სოციალიზმის საქმისათვის მებრძოლთ. კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობაზე“.

გვირგვინით შემკობის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს მებრძოლებს, რომლებიც დაიღუპნენ მშრომელი ხალხის ნათელი მომავლისათვის.

შემდეგ პარტიული დელეგაციები იყვნენ საბჭოთა ელჩის, ელეონორა ტოლსტოიას, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ბ. ბიერუტის, ეროვნული საბჭოს მდივნის, ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს

საბჭოთა კავშირ–დანიის კომუნიკე

დანიის მთავრობის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი დანიაში ოფიციალური ვიზიტით იყო 1971 წლის 2-5 დეკემბერს.

დანიაში ყოფნის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინისა და დანიის პრემიერ-მინისტრს ჰ. ო. კრაგს შორის ჯიმბართა მოლაპარაკება კოპენჰაგენში. ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები უწვიდნენ აგრეთვე ოლბორგსა და ჩრდილოეთ იუტლანდიის სხვა ქალაქებს. ფალგან მათ გულთბილად, გულითადად ხვდებოდნენ. საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა დათვალიერებინა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, შეხვედროდა დანიის ფართო წრეების წარმომადგენლებს, გასცნობოდა დანიელი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარის. აგრეთვე დანიის ლიდერებსანიშნაობებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და დანიის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ო. კრაგმა ერთმანეთს გაუცვლეს თავიანთი ქვეყნების საშინაო მდგომარეობა და ეკონომიური განვითარება, აგრეთვე თავიანთი მთავრობათა პრაქტიკული საქმიანობა საგარეო პოლიტიკის დარგში.

საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა ურთიერთგაზიარების დროს მხარეებმა ქმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და დანიის პოზიციები ბევრ საკითხზე ემთხვევა ან უახლოვდება ერთმანეთს.

ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა აღნიშნეს, რომ ამ ბოლო ხანს ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაისახა გარკვეული დადებითი ტენდენციები. მათ დაადასტურეს, რომ ორივე ქვეყნის მთავრობებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აქტიურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

ორივე მხარემ გამოთქვა ის თვალსაზრისი, რომ მშვიდობისა და უშიშრობის უზრუნველყოფა, აგრეთვე ეკონომიურ და სოციალურ დარგებში პროგრესის მიღწევა მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფოს შორის იყოს შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მჭიდრო თანამშრომლობა, მათი პოლიტიკური ორიენტაციის ან განვითარების დონის მიუხედავად. ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი თანამშრომლობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთ ნდობას, ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და თანასწორუფლებიანობის უთუო პატივისცემას, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებასა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ძალის გამოყენებაზე თუ ძალის გამოყენებით შეკავაზე უარის თქმას, აგრეთვე სადავო საკითხების მშვიდობიან მოწესრიგებას.

ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და დასტატურს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ამ ორგანიზაციის განმტკიცებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშრობის მხარდასაჭერად. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო უშიშრობის განმტკიცების შესახებ დოკუმენტის განხორციელებას და გამოთქვამენ იმედს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ერთობლივად შეთანხმდებიან მისი დიდმნიშვნელოვანი დებულებების განხორციელების პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ. გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ აღდგა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მდგომარეობას ევროპაში. ორივე მხარემ განაცხადა, რომ ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, ხელშეკრულება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის და ოთხმხრივი შეთანხმება დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ევროპაში დაძაბულობის შენელების საქმეში. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ოლპპარაკება, რომელსაც ამჟამად აწარმოებენ გერმანიის კომპეტენტური ხელისუფალნი ოთხმხრივ შეთანხმებასთან დაკავშირებით, წარმატებით დამთავრდება უადრეს მომავალში, აგრეთვე, რომ ეს სამი ხელშეკრულება ძალიან მალე ძალაში შევა.

მხარეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ რაც შეიძლება მალე გაიმართოს თათბირი ევროპის უშიშრობისა და თანამშრომლობის საკითხებზე ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს მონაწილეობით. ისინი მზად არიან ხელი შეუწყონ ამ თათბირის მოწყობას და მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ მრავალმხრივ შეხვედრებსა და კონსულტაციებში.

ასეთი თათბირის მიზანი ის უნდა იყოს, რომ ხელი შეუწყოს ბლოკებად ევროპის კონტინენტის დაყოფის შეწყვეტას, რაც დამახასიათებელი იყო ევროპის ვითარებისათვის ომისშემდგომ პერიოდში. თათბირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ განამტკიცოს ევროპის უშიშრობა ყველა ხალხის ინტერესების შექმნის გზით, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სახელმწიფოთა ურთიერთობა, კერძოდ, ძალის გამოყენებისა თუ მისი გამოყენებით დამუქრების აღმოფხვრის გზით. თათბირმა აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს მის მონაწილეთა პოლიტიკური და საჯარო ურთიერთობის. სამრეწველო, ტექნიკური, კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის, აგრეთვე ადამიანებს შორის კონტაქტების განვითარების, რაც ურთიერთნდობის ერთ-ერთი წანამძღვარია, რომელსაც შეიძლება დაემყაროს მტკიცე მშვიდობა ევროპაში.

მთავრობათა მეთაურებმა განიხილეს აგრეთვე განიარაღების პრობლემები. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შემდგომი პროგრესი როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივ სახეობათა იარაღის განიარაღების დარგში მშვიდობისა და უშიშრობის უზრუნველყოფის გადამწყვეტი წანამძღვარია.

მთავრობათა მეთაურები შეთანხმდნენ, რომ ევროპაში დაძაბულობის შემდგომი შენელების საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა პრაქტიკული შედეგების მიღწევა — მონაწილეობა სახელმწიფოთასთვის ზიანის მიუყენებლად — ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა, როგორიც არის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირება ევროპაში, სადაც სამხედრო დაპირისპირება განსაკუთრებით საშიშია.

დანიის მხარემ დაადასტურა წინათ წამოყენებული წინადადება, რომ შესაძლებელია დანიაში მოიწყოს მოლაპარაკება ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მიაღწიეს „ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღისა და ტოქსინების შემუშავების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და ამ იარაღის მოსპობის შესახებ კონვენციის“ პროექტის მნიშვნელოვან მხარდაჭერას, და მოუწოდებენ, რომ ენერგიულად განაგრძონ მეცადინეობა იმ პრობლემათა გადაწყვეტისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ქიმიური იარაღის შესახებ კონვენციის დადებასთან.

მთავრობათა მეთაურები აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ ატომური გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება გაფართოვდეს ატომური იარაღის მიწის ქვეშა გამოცდის აკრძალვის ჯაზით.

მხარეებს შორის მოხდა აზრთა სასარგებლო ურთიერთგაზიარება განიარაღების საკითხებზე მსოფლიო კონფერენციის მოწვევის გამო საბჭოთა წინადადების შესახებ. მხარეებს აზრით, ასეთი კონფერენციის მოწვევა გააკეთებურებს მეცადინეობას განიარაღებისათვის პრძოლაში. ამასთან გამოთქვეს აზრი, რომ კონფერენცია უნდა მოიწვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში იმავეარად, რომ ეს მსოფლიო ორგანიზაცია ელვალ იყოს განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ცენტრი. მხარეებმა გამოთქვეს თავიანთი დიდი შეშფოთება იმის გამო, რომ სერიოზულად გაუარესდა ურთიერთობა ინდოეთსა და პაკისტანს შორის. ისინი გამოთქვამენ სინანულს, რომ დღემდე ვერ იქნა მიღწეული იმ პრობლემათა პოლიტიკური გადაწყვეტა, რომლებმაც ამჟამად საომარი მოქმედება გამოიწვიეს, და მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები მშვიდობიანი სამუალებებით სადავო საკითხების გადასაწყვეტად.

მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ კვლავ დაძაბული მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში. ყველა ქვეყანამ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი ამ კონფლიქტის რაც შეიძლება მალე გადაჭრისათვის. მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ უშიშრობის საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია კვლავაც მტკიცედ და სამართლიანი მშვიდობის საფუძველია ახლო აღმოსავლეთში, და ამის გათვალისწინებით მხარი დაუჭირეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ელჩ იარინგის მისიას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ინდოჩინეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ ამ რაიონში შექმნილი ვითარება კვლავ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, და დაადასტურეს თავიანთი რწმენა, რომ მტკიცე მშვიდობა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ პოლიტიკური მოწესრიგების შედეგად, რა მეშვიდ ინდოჩინეთის ხალხებს მისცეს უფლებას უცხოეთის ჩაურევლად განსაზღვრონ თავიანთი მომავალი.

ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე აზრთა გაზიარების დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და დანიის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-დანიის ურთიერთობის ფართო განვითარება შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს და ხელს უწყობს ევროპაში ურთიერთნდობისა და მშვიდობის განმტკიცებას.

მხარეებმა კმაყოფილება აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და დანიის ტრადიციული მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის შედეგად უკანასკნელ წლებში ნაყოფიერი თანამშრომლობა დამყარდა სხვადასხვა დარგში.

ორი ქვეყნის ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეს ხელს უწყობს კონტაქტები ოფიციალურ დონეზე. რომლებიც სულ უფრო რეგულარულ ხასიათს იღებს. კერძოდ, ხორციელდება საგარეო საქმეთა სამინისტროების დონეზე კონსულტაციები, რომლებსაც დადებითი შედეგები მოაქვს.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, თუ რაოდენ სასარგებლოა მთავრობათა მეთაურებისა და სხვა ოფიციალური წარმომადგენლების პირადი კონტაქტების განვრძობა, და განაცხადეს, რომ ესწრაფვიან კვლავაც გააფართოონ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, განაგრძონ ახალ მიმართულებათა ძიება სხვადასხვა დარგში ამ თანამშრომლობის გაფართოებისათვის.

ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით კვლავაც განვითარონ ურთიერთობა სსრ კავშირსა და დანიას შორის, მხარეები შეთანხმდნენ რეგულარულად მოაწყონ ურთიერთკონსულტაციები სსრ კავშირისა და დანიის მთავრობათა შორის როგორც საერთაშორისო საკითხებზე, ისე აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1969 წლის 24 ოქტომბრის გრძელვადიანი საგაჭრო შეთანხმების დადების დროიდან. შეთანხმებისა, რომლის მოქმედება გათვალისწინებულია 1970-1975 წლებისათვის მხარეები ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა განვითარონ ურთიერთვაჭრობა როგორც ტრადიციული ისე ახალი საქონლით. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობის გაფართოებას. და შეთანხმდნენ, რომ ამისათვის არის გამოუყენებელი შესაძლებლობანი. გრძელვადიანი საგაჭრო შეთანხმებით დადგენილია საგაჭრო ფარგლები ასეთი განვითარებისათვის. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ეროვნული და სპეციალიზებული გამოფენები არსებითად ხელს უწყობენ საგაჭრო და ეკონომიური ურთიერთობის სტიმულირებას. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს საკითხი კოპენჰაგენში საბჭოთა საგაჭრო-სამრეწველო გამოფენის მოწყობის შესახებ. საბჭოთა მხარემ გამოთქვა „ეზრი. რომ ურთიერთვაჭრობის განვითარებისათვის დიდი შესაძლებლობანია, თუ დანია გააფართოებს საბჭოთა მანქანებისა და მოწყობილობის იმპორტს. აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დანიის ფირმების შესაძლო მონაწილეობას საბჭოთა კავშირის ხორცის, რძის, კვებისა და ციმენტის მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს მოწყობილობით აღჭურვაში.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ მზად არის შეისწავლოს ისეთი საკითხები, როგორიც არის საბჭოთა კავშირისათვის დანიის გემების მიწოდების გაზრდა, აგრეთვე რძის დიდი ჯარხნისათვის მანქანებისა და მოწყობილობის შესყიდვა.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ 1970 წელს დადებული შეთანხმება სსრ კავშირსა და დანიას შორის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ კარგი საფუძველია ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უკანასკნელ დროს დადებული სსრ კავშირისა და დანიის საქმთავრობათაშორისო ხელშეკრულებანი ეფექტობის, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული თანამშრომლობის ნაყოფიერ ფორმებსა და ფორმებზე ეკრე საფუძველს ქმნიან ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. მხარეებმა გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება აქტიურად შეუწყონ ხელი ამ შეთანხმებათა შემდგომ წარმატებით განხორციელებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის დანიაში ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და დანიის სამთავრობათაშორისო შეთანხმებას სსრ კავშირსა და დანიის კულტურული თანამშრომლობის შესახებ ხელი შეუწყო ორი ქვეყნის თანამშრომლობის არსებით გაფართოებას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში. 1970-1972 წლების თანამშრომლობის მოქმედმა პროგრამამ ამ შეთანხმების ფარგლებში შექმნა საფუძველი ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო მყარი და ფართო გაცვლისათვის.

მხარეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ გამოძღებნონ ახალი შესაძლებლობანი კულტურული თანამშრომლობის გაფართოებისათვის არსებული შეთანხმების ფარგლებში. რათა გაეცნონ განვითარებას განათლების, მეცნიერებისა და კულტურული ცხოვრების დარგში. საბჭოთა მხარე მიესალმა დანიის მხარის განზრახვას იმის შესახებ, რომ დანიის სამეფო ბალეტი გასტროლებს გამართავს საბჭოთა კავშირში 1972 წელს.

მხარეებმა გაითვალისწინეს, რომ საბჭოთა კავშირსა და დანიას, როგორც ბალტიის ზღვის რაიონის სახელმწიფოებს, საერთო პრობლემები აქვთ, და შეთანხმდნენ, რომ კვლავ განაგრძობენ კონტაქტებსა და აზრთა ურთიერთ გაზიარებას მრავალმხრივ და ორმხრივ საფუძველზე თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე ისეთ დარგებში. როგორიც არის გარემოს დაცვა, თევზის მარაგის შენარჩუნება და სხვ. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ბალტიის ზღვის წყლების გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებდა ბალტიკისპირეთის ყველა სახელმწიფო.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება, რომელმაც ხელი შეუწყო მათი მთავრობების პოზიციათა უკეთ გაგებას, საბჭოთა კავშირსა და დანიას შორის ურთიერთნდობის ზრდას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დანიის მთავრობას დანიაში გაწეული სტუმართმოყვარეობისა და გულითადი მიღებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ა. ნ. კოსიგინი.

ოლბორგი, 1971 წლის 5 დეკემბერი.

დანიის პრემიერ-მინისტრი
ჰ. ო. კრაგი.

ინდოეთ-პაკისტანის სამხედრო კონფლიქტი

რავალპინდი. 6 დეკემბერი. (საკდესი). პაკისტანის რადიოს ცნობების თანახმად, პაკისტანისა და ინდოეთის ჯარებს შორის გაჩაღდა დასავლეთის ბრძოლები გაჩაღდა დასავლეთის საზღვარზე ქაშმირში ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე.

სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის განცხადებით, პაკისტანის ჯარებმა გადალახეს ცეცხლის შეწყვეტის ხაზი ქაშმირში, დაიკავეს ინდოეთის მთელი რიგი სასაზღვრო პუნქტები და ინდოეთი ქალაქი დერა. მოქმედებდნენ რა ხაზზე პუნჩიდან რაჯასტანამდე, განაცხადა წარმომადგენელმა, მათ დაიკავეს „ტერიტორია სიალკოტის რაიონში“. სამხედრო წარმომადგენელმა აგრეთვე განაცხადა, რომ პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ბომბები დაუშინეს ინდოეთის 13 აეროდრომს.

პაკისტანის რადიოს ცნობით, ინდოეთის თვითმფრინავებმა დაბომბეს პაკისტანის ბაზები სარგოდში, პეშავარსა და დასავლეთ პაკისტანის სხვა ადგილებში.

როგორც პაკისტანის პრესას საგენტო იუწყება, პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა განაცხადა, რომ ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების პირად შემადგენლობას ეძლევა განკარგულება „ეძებოს და მოსპოს მოწინააღმდეგე ყველგან, სადაც კი შეიძლება იყოს ისინი“.

დელი. 6 დეკემბერი. (საკდესი). საზღვრის აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებში გრძელდება ხაომარი მოქმედება ინდოეთისა და პაკისტანის ჯარებს შორის.

როგორც ინდოეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ინდოეთის არმია, რომელიც გადავიდა აღმოსავლეთ პაკისტანის ტერიტორიაზე კომილის სექტორში, მიიწევს პროვინციის შიდა რაიონების სიღრმეში. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ინდოეთის ძალებმა დაიკავეს ქალაქები სუაგამი, ჩაური, ბაბიბაზარი. სილეტის სექტორში ინდოეთის ნაწილები მიიწევენ ქალაქ ლალაურის მიმართულებით.

აკმაურის რაიონში ინდოეთის ჯარებმა ალყა შემოარტყეს პაკისტანის ქვედანაყოფებს და მიიწევენ პაკისტანის არმიის კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი ცენტრების მიმართულებით. დღეს ჯარებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი რკინიგზის კვანძი აკმაურა. იარაღი დაჰყარა პაკისტანის გარნიზონმა კამალპურში.

ინდოეთის ჯარებმა აგარტალის რაიონში (ტრიპურის მოკავშირე ტერიტორია) მოიგერიეს პაკისტანის არმიის რამდენიმე იერიში. პაკისტანის ჯარები, რომლებიც განუწყვეტლივ უშენდნენ არტილერიის ცეცხლს აგარტალას, იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ინდოეთის ჯარებმა „მუქტი ბაჰინის“ რაზმებთან ერთად დაიკავეს ქალაქი შამშერნაგარი“ (აღმოსავლეთი პაკისტანი) და ხელთ იგდეს სამხედრო აეროდრომი კაჰარის სექტორში.

საზღვრის დასავლეთ სექტორში, იუწყება ინდოეთის დეპეშათა სააგენტო, ინდოეთის ჯარებმა დაიკავეს პაკისტანის რამდენიმე სოფელი ამრიტსარის სექტორში. გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ფეროზპურის სექტორში (პენჯაბის შტატი), სადაც პაკისტანის ჯარების ბრიგადამ სამხედრო-საჰაერო ძალების, არტილერიისა და ტანკების დახმარებით იერიში მიიტანეს ინდოელთა პოზიციებზე. როგორც აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში, ორივე მხარეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალი მოსდის. მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს აგრეთვე ჩხმბის სექტორში, სადაც გუშინ ინდოეთის ჯარებმა მოიგერიეს პაკისტანელთა იერიში, ამასთან მოსპეს 6 ტანკი.

ნუხელ პაკისტანის ავიაციამ ექვსჯერ დაბომბა ავარა და იქ მდებარე სამხედრო აეროდრომი. ინდოეთის საზენიტო ბატარეებმა ცეცხლი დაუშინეს პაკისტანის თვითმფრინავებს.

დღეს პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს აეროდრომები აჰმედაბადში (გუჯარეთის შტატი) და ამრიტსარში (პენჯაბის შტატი).

ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გუშინ ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ცეცხლი დაუშინეს აარაჩის ნავსადგურს. მანამდე, თქვა მან, საზღვაო ბრძოლა გაიმართა ინდოეთისა და პაკისტანის სამხედრო ხომალდებს შორის, რომლის დროს პაკისტანის ერთი სავსაჯდრო ნაომსანი ჩაიძირა, ხოლო მეორე დაზიანდა. ინდოეთის ყველა ხომალდი თავის ბაზაში დაბრუნდა. როგორც ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა ჯაგჯივან რამმა განაცხადა, აღმოსავლეთ პაკისტანის ყველა ნავსადგური ბლოკირებულია ინდოეთის ფლოტის მიერ.

სრულიად ინდოეთის რადიომ გამოაცხადა, რომ დღეს ინდოეთის ჯარებმა აღმოსავლეთ პაკისტანში დაიკავეს რკინიგზის საღგური ლაფთრა, რის შედეგად დაკავა და ჩიტაგონგს შორის მიმოსვლა და კავშირი შეწყვეტილია.

რავალპინდი. 6 დეკემბერი. (საკდესი). პაკისტანის სამხედრო-სარდლობის წარმომადგენელმა დღეს განაცხადა, რომ შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება პაკისტანისა და ინდოეთის ჯარებს შორის ინდოეთ-პაკისტანის საზღვრის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ სექტორში. როგორც მან განაცხადა, პაკისტანის ჯარები განაგრძობენ წინსვლას დაბავების მთელი ხაზის გასწვრივ ჯამუსა და ქაშმირში. პაკისტანის ნაწილები მიუახლოვდნენ ქალაქ პუნჩის გარეუბნებს.

ამრიტსარის სექტორში პაკისტანის ჯარებმა წინ წაიწიეს ინდოეთის ტერიტორიის სიღრმეში და რამდენიმე სოფელი დაიკავეს.

როგორც პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, საჰაერო ბრძოლებში, საზენიტო არტილერიის ცეცხლითა და აეროდრომებზე ბრძოლების დროს მოსპობილია ინდოეთის 53 თვითმფრინავი.

პაკისტანის ავიაცია თავს დაესხა ინდოეთის აეროდრომებსა და სამხედრო ობიექტებს პატანკოტში, აგრში, ამრიტსარში, სირსაში. სამი დღის განმავლობაში პაკისტანის ავიაცია 15-ჯერ დაესხა თავს ინდოეთის აეროდრომებს.

დელი. 6 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის სამხედრო სარდლობის მონაცემების თანახმად, ხაზგასმით დასავლეთ და აღმოსავლეთ სექტორებში ხაომარი ოპერაციების დროს მოსპობილია პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების 47 თვითმფრინავი. ინდოეთის სამხედრო-ხაზგასმა ჯარებმა ჩაიჭრეს პაკისტანის სამი სამხედრო ხომალდი — ორი საეს-კალრო ნაღმსანი და ერთი წყალქვეშა ნავი. ამავე ცნობებით, პაკისტანმა 87 ტანკი დაკარგა.

ინდოეთის ჯარებმა მოიგერიეს პაკისტანის ჯარების შეტევა ბაჯანხანის შტატის სექტორში, სადაც პაკისტანის ჯარები 24 კილომეტრზე შეიჭრნენ ინდოეთის ტერიტორიის სიღრმეში ქალაქ რამგარჰის რაიონში. მხოლოდ ამ რაიონში მწყობრიდან გამოყვანილია პაკისტანის 23 ტანკი.

ოფიციალური წარმომადგენელის განცხადებით, დასავლეთ ფრონტზე ინდოეთის ჯარები გადავიდნენ პაკისტანის სახელმწიფოთ ფ საზღვარზე ლაჰორის სექტორთან და 28 მილით წაიწიეს წინ პაკისტანის ტერიტორიაზე.

როგორც ინდოეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ჯამუსა და ქაშმირში მოიგერიეს პაკისტანის ჯარების შეტევა, რომელშიც დაახლოებით ოთხი ბრიგადა შედიოდა.

აღმოსავლეთ პაკისტანში „მუქტი ბაჰინის“ განთავისუფლების ძალების რაზმებმა და ინდოეთის ჯარებმა გათავისუფლეს დიდძალი დასახლებული პუნქტი.

ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ბომბები დაუშინეს სამხედრო ობიექტებს დასავლეთ პაკისტანის ქალაქებში.

ინდოეთმა ცნო განგლა დეში

დელი. 6 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის რესპუბლიკამ დღეს ცნო „ბანგლა დეშის სახალხო დემოკრატიული მთავრობა“ (აღმოსავლეთ პაკისტანის). ეს ინდოეთის პარლამენტში ოფიციალურად გამოაცხადა პრემიერ-მინისტრმა ი. განდიმ. ი. განდიმ სიმპათიების, მხარდაჭერისა და მეგობრობის გრძნობები გამოსცა ბანგლა დეშის ხალხისა და მისი მთავრობის მიმართ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთისა და ბანგლა დეშის მთავრობები და ხალხები ერთად იბრძოლებენ თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის და ერთმანეთთან დაამყარებენ კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

ეს მოვლენა, განაცხადა ი. განდიმ, ხელს შეუწყობს აზიის ამ რაიონსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშრობის, სტაბილურობისა და პროგრესის უზრუნველყოფას.

თანამგზავრი ავარიულია

ნიუ-იორკი. (საკდესი). რაკეტა „ატლას-აჯენა“, რომლის დახმარებითაც შეეცადნენ ორბიტაზე გაეყვანათ საიდუმლო ექსპერიმენტული თანამგზავრი ჯაშუში, მალე სტარტის შემდეგ ასცდა გათვალისწინებულ ტრაექტორიას და აიფეთქეს დედამიწიდან მიცემული კომანდით.

ეროვნული დღეს

პრობლემები კომენტარები ქრონიკა

საბჭოთა-ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობის საბჭოში

ეროვნული

ნიუ-იორკი. 6 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობა განხილვა. წინა სხდომაზე საბჭოს, ცალმხრივი, წინაზრახული პოზიციის გამო, შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ რომ დაიკავეს, ვერ შეძლო მიეღო გადაწყვეტილება, რომელიც ხელს შეუწყობდა ვითარების უსწრაფეს ნორმალიზაციას ინდოსტანის ნახევარკუნძულზე.

საბჭოთა დელეგაციამ - საბჭოს განსახილველად შეიტანა პროექტი რეზოლუციისა. იგი მოუწოდებს განაზორციელონ პოლიტიკური მოწესრიგება აღმოსავლეთ პაკისტანში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ კონფლიქტის მთავარი მიზეზია ის ვითარება, რომელიც აღმოსავლეთ პაკისტანში შეიქმნა აღმოსავლეთ პაკისტანის მოსახლეობის მიმართ პაკისტანის ხელისუფალთა ტერორის შედეგად. სწორედ ამის გამო, თქვა მან, მილიონობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა, და კრიზისმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო.

ი. ა. მალიკმა საბჭოს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სსრ კავშირის მთავრობის ყველა მოქმედება ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით მიზნად ისახავს მშვიდობის შენარჩუნებას ამ რაიონში. საბჭოთა კავშირი მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ სისხლისღვრა და განახორციელონ პოლიტიკური მოწესრიგება აღმოსავლეთ პაკისტანში მისი ხალხის კანონიერ უფლებათა და ინტერესთა პატივისცემის საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობას აგრეთვე მიაჩნია, რომ ყველა ქვეყნის მთავრობებმა უნდა თავი შეიკავონ ნაბიჯებისაგან, რომლებიც ასე თუ ისე მოასწავებენ მათ ჩაბმას კონფლიქტში და კიდევ უფრო გაართულებენ ვითარებას ინდოსტანის ნახევარკუნძულზე.

საბჭოთა რეზოლუციის პროექტი კენჭისყრის დროს უარყვეს იმის გამო, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა თავისი გამოსვლები გამოიყენა ცილისწამებისათვის საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული კურსისა და ინდოეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. მან გაილაშქრა აღმოსავლეთ პაკისტანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ჩინეთის დელეგატის გამოსვლამ აცხადა, რომ მას არაფერად აუღია 10 მილიონი აღმოსავლეთ პაკისტანელი ლტოლვილის ტრაგიკული ბედი.

საბჭომ გადაწყვიტა განაგრძოს კონსულტაციები დელეგაციებს შორის და მოაწყოს ახალი სხდომა, რომლის თარიღს უფრო გვიან დადგენენ.

ი. ტიტოს გამოსვლა

ბელგრადი. (საკდესი). 1-2 დეკემბერს კარაჯორჯევოში გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც გამოვიდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ი. ბროზ ტიტო. თავის გამოსვლაში ი. ბ. ტიტო შეეხო ხორვატიის მდგომარეობას. მან თქვა. რომ ხორვატიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობას საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა არ გაუწევია ნეგატიური პოლიტიკური ამბებისათვის, რომლებიც ამას წინათ მოხდა ხორვატიაში, და ეკრძოდ ზაგრების სტუდენტთა გაფიცვისათვის.

**როცა საქმე ეხება გაფიცვის მიზეზებს, რა თქმა უნდა, მათი ფესვები გუშინდელ ამბებში არ უნდა ვეძიებთ, აღნაგრეთ ი. ტიტომ. ეროვნულიტეტში მომხდარი გაფიცვის ინიციატორები მარტო სტუდენტები როდი იყვნ. მათ ზურგს უმაგრებდა ჩვენთვის კარგად ცნობილ ნეგატიურ ელემენტთა ჯგუფი. საბედნიეროდ, ხორვატიის მუშათა კლასი საკმაოდ შეგნებულია და ამიტომ ვერ გადაახვევინეს არჩეულ გზას, თუმცა სურდათ მისი ჩადარვა ბაფიცვაში. ცხადია, რომ ამ

ᲡᲐᲮᲚᲘ—ᲚᲐᲛᲐᲖᲘ, ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ

ᲒᲐᲕᲐᲤᲐᲠᲗᲝᲗᲝᲗ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲛᲔ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲜᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ 1971-1975 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲙᲐᲠᲗᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲐᲚᲔᲚᲓᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲔᲗ ᲩᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲔᲯᲠᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲘᲜᲯᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ. ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲜ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲦᲝᲠᲦᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲔᲡᲚᲘᲗ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ Მ

ეროვნული კულტურის მოამაგენი



ეკრანის გმირი

კოტე მიქაბერიძის დაბადების 75 წლისთავისათვის

კ. მიქაბერიძე... ქართული კინოს ერთ-ერთი პირველი ვარსკვლავი...

მშობელი ხალხი დღეს მისი დაბადების 75 წლისთავს აღნიშნავს და ამით თავის მადლიერებას გამოთქვამს იმ ფრიად ნაყოფიერი შემოქმედებისათვის, რომელსაც აგერ მთელი ნახევარი საუკუნეა ნამდვილი ვაჟკაცური შემართებითა და მამულიშვილური გულისხმიერებით ეწევა ჩვენი ეროვნული კულტურის ეს შესანიშნავი მოღვაწე.

კოტე მიქაბერიძე ქართულ კინოში მოვიდა 1921 წელსვე, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ახალგაზრდა ქართული მხატვრული კინოც მტკიცედ დადგა ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მოწინავე ხაზზე. კოტე მიქაბერიძე პირველსავე ქართულ მხატვრულ საბჭოურ ფილმში („არსენა ჯორჯიაშვილი", 1921 წ.) მონაწილეობს.

აქტიორული აღიარება კოტე მიქაბერიძემ ქართული კინოს მშვენება ნატო ვაჩნაძესთან შემოქმედებით პარტნიორობაში მოიპოვა 1924-25 წლებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გადამწყვეტი როლი, რაც გამოჩენილმა ქართველმა კინორეჟისორმა ალ. წუწუნავამ შეასრულა ნატო ვაჩნაძისა და კოტე მიქაბერიძის მსახიობურ დასტატებაში. მის ფილმში „ვინ არის დამნაშავე?" ნატო ვაჩნაძემ და კოტე მიქაბერიძემ მთავარი როლები შესასრულეს და მიაღწიეს მსახიობური ხელოვნების ისეთ ოსტატობას, რაც მათი შემდგომი წარმატებების საწინდარი გახდა.

„ალ. წუწუნავასთან მუშაობა იყო ნამდვილი სკოლა, რამაც მეტად ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა ჩემს შემდგომ მოღვაწეობაზე", — სიამოვნებით იგონებს კ. მიქაბერიძე. და მართლაც ამის დამადასტურებელია პირველი ქართული კინოკომედია „ხანუმა" (1926 წ.) და ფსიქოლოგიური ფილმი „ორი მონადირე" (1927 წ.), რომლებშიც კ. მიქაბერიძემ თამარ ბოლქვაძესა და მიხეილ გელოვანთან ერთად მეტად საინტერესო მსახიობური სახეები შექმნა.

1928 წელს ჩადგა კ. მიქაბერიძის რეჟისორული დებიუტი, შექმნა შესანიშნავი კომედია „ბებიაჩემი" (სცენარის ავტორები გ. მდივანი და კ. მიქაბერიძე).

შემდეგ კ. მიქაბერიძისვე ეგუთვნის პირველი ეკრანიზაცია „ვეფხისტყაოსნის" თემაზე — სამნაწილიანი ჰეროიკული ფილმი „ქაჯეთი", კინონოველა „ფორპოსტი" დიდი სამამულო ომის თემაზე, სცენარი კინოფილმისა „ციხკარა", ხალისიანი, სიცოცხლით სავსე მუსიკალური კომედია „დაგვიანებული სასიძო", რომელიც დღესაც სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს, და სხვ.

1947 წელს კ. მიქაბერიძე ერთხელ კიდევ ვიხილეთ როგორც მსახიობი კ. პიპინაშვილის ფილმ „აკაკის ავკანში" თავის ძველ პარტნიორ ნატო ვაჩნაძესთან ერთად, ამჯერად ისინი საქართველოს ბულბულის, ჩვენი სულმნათი აკაკის აღმზრდელ ციურ-ქმარ ძიძის განასახიერებდნენ, ერთხელ კიდევ მოვიხიბლეთ იმ სითბით და ადამიანური გულწრფელობით, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ამ შესანიშნავი დუეტის ხელოვნება.

ამჟამად კ. მიქაბერიძე კინოსტუდია „ქართული ფილმის" სადუბლაჟო განყოფილებაში მუშაობს და აქაც ჩვეული ენთუზიაზმითა და შრომისნაყოფიერებით გამირჩეული. ჯერ მისი კაცური კაცობისა და მისი ხელოვნებისა, ჯერ. რომ იგი ჯერ კიდევ ბევრ სიხარულსა და სიამოვნებას მიანიჭებს მადლიერ მაყურებელს.

გ. დოლიძე.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

მუსიკოსი, პედაგოგი

ვ. ცაგარეიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

ქართული მუსიკალური ხელოვნების ვეტერანთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვალერიან ცაგარეიშვილს, რომელსაც ახლახან 70 წელი შეუსრულდა.

ვალერიან ცაგარეიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ასპარეზი როდი შემოიფარგლება მხოლოდ კომპოზიციით. უკვე თითქმის 50 წელია, რაც იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. როგორც დედაქალაქის სხვადასხვა მუსიკალურ-სასწავლო დაწესებულებებისა და მუსიკალური კოლექტივების ხელმძღვანელი და მესვეური.

ვალერიან ცაგარეიშვილი დაიბადა ქუთაისში. აქვე მიიღო პირველდაწყებითი მუსიკალური განთლება. სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი პირველი ცდები კომპოზიციაში 20-იანი წლების დასაწყისს ეკუთვნის. თბილისის კონსერვატორიაში იგი თავდაპირველად საფორტეპიანო განხრით სწავლობდა (პროფ. ა. ვიხსალაძის კლასში), შემდეგ კი დაამთავრა საკომპოზიტორო განყოფილება (პროფ. ა. ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით).

თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ხუთი ათეული წლის მანძილზე ვ. ცაგარეიშვილმა შექმნა სხვადასხვა ჟანრის ბევრი ნაწარმოები, რომელთა საუკეთესო ნაწილმა მსმენელთა აღიარება მოიპოვა. დიდი ღვაწლი მიუძღვის კომპოზიტორს ქართული საგუნდო მუსიკის განვითარებაში. მისი სიმღერები („ზღვაო, აღელდი," „ელეგია", „ტაში, ბიჭო", „ახალგაზრდული", „სიმღერა საბჭოთა არმიაზე" და სხვ.) ხალხმა გულთბილად მიიღო. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ცაგარეიშვილის დამსახურება როგორც სხვადასხვა საგუნდო კოლექტივების ორგანიზატორის და ხელმძღვანელისა. იგი ჩვენი საგუნდო კულტურის აქტიური პროპაგანდისტია.

ცაგარეიშვილს ეკუთვნის პოპულარული მუსიკალური კომედიები, რომლებიც წარმატებით იღგმებოდა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე. ასეთებია, მაგალითად, „სამთა სიყვარული", „მზის დაბნელება" და სხვები. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე დიდი ფორმის ნაწარმოებები, როგორიც არის კანტატა „ლომგულოვანი", სიმფონიური პოემა „ელისო", სიმფონიური სიუიტა „ომგადახდილი" და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვ. ცაგარეიშვილის დამსახურება ქართული სიმღერა-ტუმბაოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ლიდერია გროსმაისტერი ლ. შტეინი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს.

„კომუნისტის" ფოსტიდან

● **გურჯაანი.** ვაზისუბნის კოლმეურნეობამ სამამულო ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად 12 ჰექტარზე გააშენა შინმოუსვლელთა პარკი, სადაც დარგულია 6.500 ძირზე მეტი ხე და ბუჩქი. მათ შორის 317 ძირი კვიპაროსია, რომლებსაც დაღუპულთა სახელი და გვარი აწერია.

ი. არუთინოვი.

● **ამას წინათ** ზუგდიდის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ სოფელ ცაიშში გახსნა ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვის ახალი ატელიე, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ხელოსნებით, საღურგლო სახელოსნოში კი დამონტაჟდა ახალი ამომღარავი დაზგა.

ბ. ალშიგაია.

● **ამბროლაური.** დაბა ჭრებალოში ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელშიც მოთავსებულია კლუბი ორასამდე მაყურებლისათვის.

ალ. მურუსიძე.

დეპუტატი — თაოსანი

ცხაკაია. (საკ. კორ.). ნოსირის სასოფლო საბჭოს დეპუტატი ვანო ხუნწარია საგზაო და კეთილმოწყობის კომისიას მეთაურობს. იგი მუდამ იმაზე ფიქრობს, რა შესძინოს სოფელს, მშრომელთა დახმარებით როგორ გალამაზოს, კეთილმოაწყოს იგი. საშუალო სკოლის წინ თავისუფალი მიწა იყო. დეპუტატმა ჩაიფიქრა პარკი გაეშენებინათ. საერთო ძალებით ჩანაფიქრი შესრულდა. ამჟამად აქ ხეები ამშვენებენ მიდამოს. სოფლის ცენტრში დარგულ იქნა 117 ძირი მარადმწვანე მცენარე.

დეპუტატის თაოსნობით სხვა კარგი საქმეებიც გაკეთდა. აღსანიშნავია 700 მეტრზე ასფალტის დაგება. ახლა აქტივისტები სასმელი წყლის გამოყვანისათვის ზრუნავენ.

„საქართველოს აგიტატორი" № 23

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, ოცდამესამე ნომერი.

ბასულ წელს ხაჩხერის რაიონის სოფელ ორღულში კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიქმნა სატბორე მეურნეობა, რომელმაც 20 ჰექტარი დაიკავა. აქ „სარკიანი კობრისა" და „ამურის" ჯიშის ლიფსიტები გაუშვეს. თევზები კარგად შეეჩვივნენ მთის გუბურებს. მეთევზეებმა მეურნეობას 10 ათასი მანეთი შემოსავალი მისცეს. მომავალ წელს კოლმეურნეობის სატბორე მეურნეობა 2-ჯერ გაიზრდება. **სურათებზე:** ხაჩხერის რაიონის სოფელ ორღულის კოლმეურნეობის სატბორე მეურნეობა. „აი როგორი თევზები იზრდება ჩვენს მეურნეობაში", — ამბობს კოლმეურნე ნინო კირვალიძე.

ფოტო ა. მაჰპარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ს პ ო რ ტ ი

ა. ალიოხინის მემორიალი

ლიდერობს ლ. შტეინი

მოსკოვი გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ვაუთათვის — ა. ალიოხინის მემორიალი. კვირას შედგა მეცხრე ტური.

პარმა დამარცხდა პეტროსიანთან შეხვედრაში, ბირნი— კორჩნოისთან, ბალაშოვი—ბრონშტეინთან, გეორგიუ—შტეინთან. სპასკი-ბორტი, ლენდიელ-სმისლოვი და ულმან-ტუმბაოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ლიდერია გროსმაისტერი ლ. შტეინი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს.

კრეტენდენტთა ფინალური მატჩი

პირველი „ტაიმი" კუშნირის სასარგებლოდ

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების — ა. კუშნირისა და ნ. ალექსანდრიას ფინალური მატჩის მეექვსე პარტია გადადებული იყო ა. კუშნირის პოზიციური და მატერიალური უპირატესობით. კვირას მოეწყო ამ პარტიის დამთავრება. ნ. ალექსანდრია შეუპოვრად იბრძოდა პარტიის გადასარჩენად, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. 56-ე სვლაზე გაიმარჯვა ა. კუშნირმა.

მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ ანგარიში გახდა 4:2 ა. კუშნირის სასარგებლოდ.

გუშინ შედგა მატჩის მეშვიდე პარტია. თეთრებით თამაშობდა ა. კუშნირი. ნ. ალექსანდრიამ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, რითაც მეტოქეს საშუალება მისცა ცენტრში გარღვევით ხელთ ეგდო ინიციატივა. ძლიერ ციტნოტში, ისედაც უომელი პოზიციაში, ნ. ალექსანდრიამ დროს გადაალაცლა და დამარცხება ჩაეთვალა.

ანგარიში გახდა 5:2 ა. კუშნირის სასარგებლოდ. მერვე პარტია შედგება 9 დეკემბერს.

„ზარია ვოსტოკას" პრიზიორი

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ასპარეზობა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

კვირას შედგა უკანასკნელი შეხვედრები ქვეჯგუფებში. გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. პირველ ქვეჯგუფში სსრ კავშირის აბალგაზრდულმა ნაკრებმა დაამარცხა რუმინეთის გუნდი 11:10, გდრ-ის ხელბურთელებმა მოუგეს ჰოლანდიელებს — 25:13. ამ ქვეჯგუფში პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს გდრ-ს და რუმინეთის გუნდებმა. მეორე ქვეჯგუფში საქართველოსა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 18:18, უკრაინელებმა მოუგეს ბულგარეთის გუნდს 17:14. მეორე ქვეჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდნენ საქართველოსა და იუგოსლავიის ხელბურთელები.

სურათზე: საქართველოსა და იუგოსლავიის გუნდების მატჩის ერთ-ერთი მომენტი ხელბურთში. ბურთს ტყორცნის ა. ექსეულიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩვენი კონკურსის შედეგები

თვრამეტი გამარჯვებული

„კომუნისტის" 3 ოქტომბრის ნომერში რედაქციამ ჭადრაკის მოყვარულებს შესთავაზა გამოეთქვათ თავიანთი პროგნოზი ტ. პეტროსიანრ. ფიშერის მატჩზე, კერძოდ, ვინ გაიმარჯვებდა და რა ანგარიშით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მკითხველები ფართოდ გამოეხმაურნენ ამ კონკურსს. რედაქციამ მიიღო ექვსი ათასამდე წერილი არა მარტო ჩვენი რესპუბლიკიდან, არამედ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდანაც. გულშემატკივართა აზრები გაიყო. ზოგი ამერიკელ გროსმაისტერს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას, ზოგიც მსოფლიოს ექსჩემპიონს. მაგრამ როგორც ეს ამგვარი კონკურსებისათვის არის დამახასიათებელი, მატჩის ნამდვილი ანგარიში მაინც საკმაოდ ძნელი გამოსაცნობი აღმოჩნდა.

დღეს ვაქვეყნებთ იმ გულშემატკივართა გვარებს, რომლებმაც სწორად უპასუხეს კითხვებზე — დაასახელეს არა მარტო გამარჯვებული, არამედ ანგარიშიც — 6,5:2,5. სულ ასეთი 18 აღმოჩნდა: თ. ნიბლაძე, ა. ცინცაძე, ა. სირაძე, ხ. მაჰპაპარიანი, (ოთხივე თბილისიდან), ა. მაყაევლიძე (ქუთაისი), დ. ხომერიკი, მ. რუხაძე (ორივე მახარაძიდან), ჯ. მუმლაძე, ვ. ცინცაძე (რუსთავი), ს. კუპატაძე (ჭიათურა), ვ. ბეჟანია (სამტრედია), დ. გიორგაძე (ორჯონიკიძე), თ. გიორგაძე (ხაშური), დ. კოხრეიძე (ტყიბული), ი. კანდელაკიშვილი (ანაგა), ს. ჯიქია (გულრიფში), ა. რობაქიძე (თერჯოლა), ხ. ახალაია (ჩხოროწყუ).

ქურნალისტთა ნაკრების დებიუტი

კვირას გურჯაანში გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „სოვეტსკი სპორტისა" და საქართველოს ჟურნალისტთა ნაკრებ გუნდებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის გუნდისათვის, რომელიც დაკომპლექტებული იყო თბილისის, ბათუმისა და გურჯაანის ჟურნალისტებით, ეს პირველი შეხვედრა იყო. მის შემადგენლობაში იყვნენ — ხუნდაძე, ბავაშელი, ოსიაშვილი (ნატროშვილი), ჯავახიშვილი, თავარაშვილი, დათუნაშვილი, ქურიძე, შალოშვილი, გვენეტაძე, ვასაძე, რცხილაძე (გუნდის კაპიტანი). მოსკოვის „სოვეტსკი სპორტის" გუნდი ფაქტიურად იმავე შემადგენლობით გამოვიდა, როგორც თბილისის „ჟურნალისტის" წინააღმდეგ შაბათს.

პირველი ტაიმი მოიგეს საქართველოს ჟურნალისტებმა 2:0. გოლების ავტორები იყვნენ გვენეტაძე და ვასაძე. მეორე ნახევარში ჯერ ლევინსონმა გაიტანა საპასუხო ბურთი, ხოლო შემდეგ გავაშელმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

საბოლოოდ ფრე — 2:2.

„მლადოსტმა" თასი მოიპოვა

იუგოსლავიაში დამთავრდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში. მთავარი პრიზის მფლობელი მეოთხეჯერ გახდა ზაგრების „მლადოსტის" საკლუბო გუნდი. უკანასკნელ დღეს ქალაქ ხვარში იუგოსლავებმა დაამარცხეს ჰოლანდიის „დე რობინი" 2:1. იტალიის ჩემპიონს „პრო რეკოსა" და საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საფულესნო კლუბს გუნდების შეხვედრაში წარმატება იტალიელებს ხვდათ 7:5.

ფინალური ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: „მლადოსტი" — 6 ქულა, „პრო რეკო" — 4 ქულა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდი — 2 ქულა, „დე რობინი" — 0 ქულა.

„სპარტაკი" საფრანგეთში

მოსკოვის სპარტაკელებს მეორე საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში ჰქონდათ სენტ-ეტიენში „პარიჟ-სენ-ჟერმენისა და „რეტარის" საკლუბო გუნდების ნაკრებთან და გაიმარჯვეს 1:0. თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ბურთი გაიტანა სილაგაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკა

ა. ალიოხინის მემორიალი

ლიდერობს ლ. შტეინი

მოსკოვი გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ვაუთათვის — ა. ალიოხინის მემორიალი. კვირას შედგა მეცხრე ტური.

პარმა დამარცხდა პეტროსიანთან შეხვედრაში, ბირნი— კორჩნოისთან, ბალაშოვი—ბრონშტეინთან, გეორგიუ—შტეინთან. სპასკი-ბორტი, ლენდიელ-სმისლოვი და ულმან-ტუმბაოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ლიდერია გროსმაისტერი ლ. შტეინი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს.

კრეტენდენტთა ფინალური მატჩი

პირველი „ტაიმი" კუშნირის სასარგებლოდ

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების — ა. კუშნირისა და ნ. ალექსანდრიას ფინალური მატჩის მეექვსე პარტია გადადებული იყო ა. კუშნირის პოზიციური და მატერიალური უპირატესობით. კვირას მოეწყო ამ პარტიის დამთავრება. ნ. ალექსანდრია შეუპოვრად იბრძოდა პარტიის გადასარჩენად, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. 56-ე სვლაზე გაიმარჯვა ა. კუშნირმა.

მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ ანგარიში გახდა 4:2 ა. კუშნირის სასარგებლოდ.

გუშინ შედგა მატჩის მეშვიდე პარტია. თეთრებით თამაშობდა ა. კუშნირი. ნ. ალექსანდრიამ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, რითაც მეტოქეს საშუალება მისცა ცენტრში გარღვევით ხელთ ეგდო ინიციატივა. ძლიერ ციტნოტში, ისედაც უომელი პოზიციაში, ნ. ალექსანდრიამ დროს გადაალაცლა და დამარცხება ჩაეთვალა.

ანგარიში გახდა 5:2 ა. კუშნირის სასარგებლოდ. მერვე პარტია შედგება 9 დეკემბერს.

„ზარია ვოსტოკას" პრიზიორი

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ასპარეზობა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

კვირას შედგა უკანასკნელი შეხვედრები ქვეჯგუფებში. გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. პირველ ქვეჯგუფში სსრ კავშირის აბალგაზრდულმა ნაკრებმა დაამარცხა რუმინეთის გუნდი 11:10, გდრ-ის ხელბურთელებმა მოუგეს ჰოლანდიელებს — 25:13. ამ ქვეჯგუფში პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს გდრ-ს და რუმინეთის გუნდებმა. მეორე ქვეჯგუფში საქართველოსა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 18:18, უკრაინელებმა მოუგეს ბულგარეთის გუნდს 17:14. მეორე ქვეჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდნენ საქართველოსა და იუგოსლავიის ხელბურთელები.

სურათზე: საქართველოსა და იუგოსლავიის გუნდების მატჩის ერთ-ერთი მომენტი ხელბურთში. ბურთს ტყორცნის ა. ექსეულიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მეოთხედფინალისტები ცნობილია

ამოიწურა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები ფეხბურთში. უკანასკნელი მატჩი შედგა სოფიაში ბულგარეთისა და საფრანგეთის გუნდებს შორის. წარმატება ბულგარელებს ხვდათ 2:1. ამის შედეგად გამოვლინდა უკანასკნელი მერვედფინალისტი მეორე ჯგუფიდან. აქ პირველი ადგილი უნგრეთის გუნდმა დაიკავა.

ამრიგად, ცნობილია რვავე მერვედფინალისტი. ესენი არიან — რუმინეთის, უნგრეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირის, ბელგიის, იტალიის, იუგოსლავიისა და გფრ-ის გუნდები.

□

□

ტელევიზია

7 დეკემბერი

პირველი პროგრამით

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი, 12.40 — მხატვრული ფილმი — „უგრიუმ-მეინარე" (პირველი სერია), 14.00 — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — პოლონური მუსიკის კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — აპიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.50 — კინონარკვევი, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცეროდენსას ეკრანი", 18.35 — მოსწავლეთათვის.— „თქვენზე ფიქრებში", 19.05 — განცხადებები, 19.10 — კინონარკვევი, 19.20 — გადაცემა — „ეკონომიკა წარმოებაში", 19.35 — მუსიკალური გადაცემა „საკრავების ისტორია" — ფამეტი, 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „ბელა" — სატელევიზიო მხატვრული ფილმის პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის სტუდიის ნაწარმოები), 21.30 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „უუგდიდის მუზეუმი", 22.25 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ბილოცავთ!"

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკის სწავლების მეთოდიკა (ვექტორული ალგებრის ელემენტები და მისი გამოყენება), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — საქართველოს ისტორია (ქართველი ხალხის ბრძოლა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციის თეორიულ მექანიკაში, 20.55 — დოკუმენტური ფილმი, 21.20 — „მოლოდინი" — საქართველოს ტელევიზიის დადგმა, 22.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „ლეგენდად ქცეული ცხოვრება" (პირველი სერია).

თეატრები

7 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მინდია; **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გვადი ბივვა; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ჭირვეული ქმრის მორჭულება; **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩემი შეშლილი ძმა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ქურნალისტთა ნაკრების დებიუტი

„ჟურნალისტის" წინააღმდეგ შაბათს, პირველი ტაიმი მოიგეს საქართველოს ჟურნალისტებმა 2:0. გოლების ავტორები იყვნენ გვენეტაძე და ვასაძე. მეორე ნახევარში ჯერ ლევინსონმა გაიტანა საპასუხო ბურთი, ხოლო შემდეგ გავაშელმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

საბოლოოდ ფრე — 2:2.

„მლადოსტმა" თასი მოიპოვა

იუგოსლავიაში დამთავრდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში. მთავარი პრიზის მფლობელი მეოთხეჯერ გახდა ზაგრების „მლადოსტის" საკლუბო გუნდი. უკანასკნელ დღეს ქალაქ ხვარში იუგოსლავებმა დაამარცხეს ჰოლანდიის „დე რობინი" 2:1. იტალიის ჩემპიონს „პრო რეკოსა" და საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საფულესნო კლუბის გუნდების შეხვედრაში წარმატება იტალიელებს ხვდათ 7:5.

ფინალური ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: „მლადოსტი" — 6 ქულა, „პრო რეკო" — 4 ქულა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდი — 2 ქულა, „დე რობინი" — 0 ქულა.

„სპარტაკი" საფრანგეთში

მოსკოვის სპარტაკელებს მეორე საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში ჰქონდათ სენტ-ეტიენში „პარიჟ-სენ-ჟერმენისა და „რეტარის" საკლუბო გუნდების ნაკრებთან და გაიმარჯვეს 1:0. თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ბურთი გაიტანა სილაგაძემ.

რამდენიმე სტრიქონით

● **გაიმართა** საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ამ მათი შედეგები: „სტატბა" (ვილნიუსი) — „კალევი" (ტარტუ) 66:77, სკა (კიევი) — „ეკალგირისი" (კაუნასი) 68:65.

● **უნივერსიტეტების სპორტული საერთაშორისო ფედერაციის** ალმასკომის გადაწყვეტილებით ტატა დენტთა 1973 წლის ზაფხულის ასპარეზობანი — **უნივერსიადა** გაიმართება მოსკოვში 15-დან 25 აგვისტამდე.

● **ერევანში** მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშება ძალოსნობაში. მარტო ორი ღამე განმავლობაში დამყარებულია სამი მსოფლიო და ოთხი საკავშირო რეკორდი.

● **მოსკოვის** „ლოკომოტივის" ფრენბურთელმა ქალებმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხე ვასმეტედფინალში მოუგეს საფრანგეთის გუნდს ბტ-ს 3:0. ამ გუნდების მეორე მატჩიც მოსკოვში შედგება 7 დეკემბერს.

● **კვირას** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საქალაქთაშორისო შეჯიბრება კალათბურთში. ყველა პირველი ადგილი თბილისელებმა მოიპოვეს. გაიმარჯვეს რ. ვასაძემ, რ. აკოფოვმა და ლ. ღლონტმა.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1971-72 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ (დაუსწრებელ სწავლებაზე) შემდეგ სპეციალობებზე:

1. **აგრონომია** (ქართული და რუსული სექტორები); 2) **მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა**; 3) **აგრომელიორაცია**; 4) **სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია**; 5) **საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში**; 6) **სოფლის მეურნეობის მექანიზაცია** (ქართული და რუსული სექტორები); 7) **სატყეო მეურნეობა** (ქართული და რუსული სექტორები).

ინსტიტუტში შემსვლელნი მიღებულ გამოცდებს აბარებენ: ა) **აგრონომიულ, აგრომელიორაციის, მეხილეობა-მებოსტნეობის და მევენახეობის სპეციალობებზე:** ბიოლოგია*, ფიზიკა, ქიმია; ბ) **სპეციალობებზე:** სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია და საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში: მათემატიკა*, ქიმია, ბიოლოგია; გ) **სატყეო-სამეურნეო სპეციალობაზე:** მათემატიკა*, ფიზიკა ქიმია; დ) **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობაზე:** მათემატიკა (წერა და ზეპირი)*, ფიზიკა.

ინსტიტუტში ყველა შემსვლელი აბარებს გამოცდას — ქართულ სექტორზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ყველა გამოცდა ბარდება წერითი ნამუშევრის სახით.

ოქროს და ვერცხლის მედალოსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მხოლოდ ერთ მაპროფილებელ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით.

აღნიშნულ საგანში უმაღლესი („ხუთი") შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი" ან „სამი" შეფასების მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები ჩატარდება იმ პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამის შესაბამისად.

სასწავლებლად მიიღებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ სწავლისათვის არჩეული სპეციალობით.

უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ჩარიცხვის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ პირებს, რომლებიც სკკ ცკ-ის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად იგზავნებიან სწავლისათვის იმ სპეციალობაზე, რომელიც ზუსტად შეესაბამება შემომსვლელის მუშაობის ხასიათს, და ჩარიცხვისას წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადებას დაერთვის: 1. **საშუალო განათლების** საბუთი (დედანი); 2. **დახასიათება** უმაღლეს სასწავლებელში შემოსასვლელად, **რომელსაც აძლევენ** საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები, **პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული** და სხვა **საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან** დემობილიზებულთ — **სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა**; 3. **ამონაწერი** შრომის წიგნაკიდან, **დამოწმებული საწარმოს** (დაწესებულების) **ხელმძღვანელის** მიერ, **კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან** (სადაც ასეთი არ არის, შემცვლელი საბუთიდან), **დამოწმებული** გამგეობის თავმჯდომარის მიერ.

**რამდენადაც ჩარიცხვისას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს შემომსვლელის შრომითს მაჩვენებლებს, კო